



MES 2 22 0001458258



15/11/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის პირველ ნოემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)
წევრები:**

ნანა ყუფუნია - შპს მეგა ჰოლდინგის აღმასრულებელი დირექტორი / საბჭოს თავმჯდომარე;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო კაკულია - აზიის განვითარების ბანკის თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის საჯარო-კერძო პარტნიორობის სპეციალისტი / საბჭოს წევრი;

ქრისტინა რზგოვეა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანა დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

შორენა ხუბუნაია

ელენე კაკაბაძე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი

დირექტორი - ამირან ტაკიძე;

დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში - მანანა ხაბაძე;

იურისტი - რეზო ფუტკარაძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და

აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მაგდა ბოლოთაშვილი, არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სხდომის მდივნად განისაზღვრა ქრისტიანა რზგოვეა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებასა და 2022 წლის 24 ოქტომბრის ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს. ცვლილებები უნდა შევიდეს გადაწყვეტილებების დანართებში, კერძოდ, სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ გადაწყვეტილების დანართში საექთნო განათლების პროგრამის ცხრილში მისანიჭებელ კვალიფიკაციაში მითითებული იყო „*უმადლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო განათლებაში*“, ნაცვლად ჩანაწერისა „*უმადლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში*“, ხოლო ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დანართში ყველა პროგრამის განხორციელების ადგილში მითითებული იყო „*ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/1*“, ნაცვლად „*ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10*“.

საბჭოს აპარატმა მოამზადა შესაბამისი ცვლილებები და საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს ხელმოსაწერად.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს N923923 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს N923923 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის N1348123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის N1348123 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

1. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ შორენა ხუბუნაიას და სთხოვა, წარედგინა საკითხი.

შორენა ხუბუნაიამ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრეზენტაცია არ წარადგინა საბჭოს სხდომაზე და პირდაპირ დაიწყო საკითხის შინაარსის განხილვა. მან გააცნო საბჭოს წევრებს ვიზიტის საფუძველი.

ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოეწოდა ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები, რომელიც ეხებოდა შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, კერძოდ, წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს გამომძიებლის წერილი და მოქალაქე მ.დ-ს ორი საჩივარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენლები გაესაუბრნენ საჩივრის ავტორს

მ.დ.-ს და შედგა შესაბამისი აქტი. რის მიხედვითაც, აქტის ტექსტში აღწერილი და შესაბამისი მტკიცებულებებით (გაცემული ცნობები 4 პირზე) დადასტურებულია, რომ შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის მიერ კანონმდებლობის დარღვევით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (3 პროგრამა) დაშვებულია 4 პირი, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ემისის ბაზაში, თუმცა დაწესებულების მიერ ამ პირებისათვის გაცემულია ცნობები, სადაც ასახულია, რომ ისინი ნამდვილად სწავლობენ საექტონო განათლების, ფარმაციის (სააფთიაქო), საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ერთი ასეთი პირის მშობელმა, რომელიც იყო სოციალურად დაუცველი და უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში, განცხადებით მიმართა საქართველოს პრემიერ - მინისტრს და სთხოვა მისი შვილის სწავლის საფასურის (7500 ლარი) დაფინანსება, რომელიც სწავლობდა შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში. აღნიშნული განცხადების საფუძველზე (რომელიც გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წერილობით მიმართა კოლეჯს, სადაც აღნიშნულია, რომ პირი, რომლის სახელზეც კოლეჯს გაცემული აქვს ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ, არ იძებნება პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. კოლეჯმა მოცემული კორესპოდენციის პასუხად ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გარემოება ახსნა ტექნიკური ხარვეზით. იგივე ფაქტი ფიქსირდება კიდევ ერთი (მეხუთე) პირის შემთხვევაში, რომელიც კანონმდებლობის დარღვევით დაშვებულ იქნა ინფორმაციული მხარდაჭერის პროგრამაზე, თუმცა კოლეჯის მიერ გაცემული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის საფუძველზე, ამ პირმა ვერ მიიღო სტუდენტური ბარათი, ამასთან ამ პირს გადახდილი აქვს სწავლის საფასური, რაც დასტურდება შესაბამისი ქვითრებით, და ესწრებოდა მეცადინეობებს. ზემოაღნიშნული გარემოებების შესწავლის მიზნით, 2022 წლის 19 სექტემბერს კოლეჯში ჩაინიშნა არაგეგმიური მონიტორინგი და ექსპერტთა ჯგუფი გამოცხადდა დაწესებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, სწორია თუ არა, რომ პირს, რომელიც არ იძებნებოდა ემისის ბაზაში, სთხოვდნენ სწავლის საფასურის გადახდას და მოთხოვნა მისი დაფინანსების შესახებ განხორციელდა პრემიერ-მინისტრის სახელზე.. ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა, კერძოდ აღნიშნული პირი და მისი მშობელი, რომლებიც ითხოვდნენ დაფინანსებას, იყვნენ თუ არა ინფორმირებულები, იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ახალგაზრდა იყო პროფესიული სასწავლებლის პროფესიული სტუდენტი. ამასთან, მშობელს გამიზნულად ხომ არ შეყავდა სახელმწიფო შეცდომაში, თუ თვითონაც იყო შეცდომაში შეყვანილი.

შორენა ხუბუნაიას განცხადებით, მშობელს სახელმწიფო არ შეყავდა შეცდომაში, თვითონ იყო შეცდომაში შეყვანილი, იმდენად რამდენადაც, დაწესებულება უდასტურებდა კანონიერ წარმომადგენელს დირექტორის მიერ გაცემული დოკუმენტით (ცნობაში წერია, რომ აღნიშნული პირი - ნ.დ.ნამდვილად სწავლობს შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის საექტონო განათლების პროგრამაზე).

დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას შესწავლილ იქნა შემდეგი გარემოებები და მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, პროფესიული განათლების მართვის სისტემის წარმოებასა და საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან,

დაისვა კითხები იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებზეც გაცემული იყო ცნობები პროფესიული სტუდენტის სტატუსისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შესახებ.

აღნიშნული ცნობებიდან No100 და No101 რეგისტრირებულია კოლეჯის გასული კორესპონდენციის ჟურნალში, ხოლო ცნობები No7 და No44 არ არის რეგისტრირებული არც ჟურნალში და არც საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში.

ექსპერტის განცხადებით, მოცემული პროფესიული სტუდენტები არ არიან რეგისტრირებული პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯში პროფესიული განათლების მართვის სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად, კოლეჯის პერსონალის მიერ რეესტრში მონაცემების გადამოწმების გზით (აღნიშნული ინფორმაცია ასევე დადასტურებულია ემისის მიერ). დაწესებულების ყველა წარმომადგენელი ფლობდა ინფორმაციას კანონმდებლობის დარღვევით დაწესებულებაში არსებულ პირებზე/პროფესიულ „სტუდენტებზე“, რომლებიც ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს, იღებდნენ შეფასებებს და იხდიდნენ სწავლის საფასურს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე. ექსპერტის თქმით, დაწესებულების პერსონალმა აღნიშნა, რომ მოცემულმა პირებმა ვერ მიიღეს სათანადო ქულა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, ამიტომ ისინი მეცადინეობებს ესწრებოდნენ თავისუფალი მსმენელის სტატუსით და იხდიდნენ სწავლის საფასურს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ზემოაღნიშნული პირების პირადი საქმეები, ჩარიცხვის ბრძანებები, სწავლებისა და შეფასების მტკიცებულებები. დაწესებულებების წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს ვერცერთი დოკუმენტი, რაც დაკავშირებული იყო ზემოაღნიშნული პირების ჩარიცხვასთან, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პირადი საქმეები, რაზეც ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის გაფორმებულ იქნა „აქტი შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში არაგეგმიური მონიტორინგის თაობაზე 2022 წლის 19 სექტემბერს დაგეგმილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თაობაზე“ (დასკვნას თან ერთვის).

2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საბაჟო საქმის, საექთნო საქმისა და ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და პორტფოლიოები, რა დროსაც აღმოჩენილ იქნა თ.ა-ს და თ.მ-ს 2021 და 2022 წლის შეფასების მტკიცებულებები, რომლებზეც გაცემული იყო ცნობა სწავლის შესახებ, თუმცა არ იყვნენ ჩარიცხულები კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასების მტკიცებულებები ხელმოწერილია თ.ა-ს და თ.მ-ს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ. თ.ა და თ.მ მოხსენიებულია, როგორც პროფესიული სტუდენტები, ხოლო შეფასების შედეგი - „დადასტურდა“.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული განათლების მასწავლებელმა/პროგრამის ხელმძღვანელმა ნ.უ-მ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას დაადასტურა მოცემული პირების სასწავლო პროცესში მონაწილეობის ფაქტი და აღნიშნა, რომ მათ სურდათ დასწრებოდნენ სასწავლო პროცესს და ესწავლათ კოლეჯში, რაშიც იხდიდნენ შესაბამის თანხას, ამასთან ეს პროცესი გააადვილებდა პროგრამაზე მათი ჩარიცხვის პროცესს მომდევნო სასწავლო წელს და არ დაეკარგებოდათ წელი. ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, რა გზით მოხდებოდა მოცემულ პირათვის აღნიშნული ერთი წლის ჩათვლა? ამაზე კოლეჯის არც ერთ წარმომადგენელს პასუხი არ ჰქონდა. აქვე გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი - ნ.დ. დაშვებულ იქნა მეხუთე დონის საექთნო საქმის პროგრამაზე საბაჟო განათლების ატესტატით.

3. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლის თანდასწრებით განახორციელა სატელეფონო ზარი ზემოაღნიშნულ პირებთან (ზარი განხორციელდა ორ პირთან), თუმცა

ცალსახა იყო, რომ ისინი ერთიდაიგივე ტექსტს ამბობდნენ და იმეორებდნენ კოლეჯის წარმომადგენელთა ნათქვამს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მიდგომით კოლეჯში ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდა ერთი პირი - ლ.კ., რომელმაც ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ დაასრულა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და დიპლომს მალე აიღებს, რისთვისაც გადაიხადა სწავლის საფასური (რის დასტურადაც წარმოადგინა სწავლის საფასურის გადახდის ქვითრები), თუმცა წელს დარეგისტრირდა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და უნდა ისწავლოს. ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, რომ თუ უკვე ისწავლა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მალე აიღებს დიპლომს, როგორც თავად ამბობს და გადაიხადა სწავლის საფასური იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, რატომ უნდა ესწავლა ხელმეორედ, რატომ დარეგისტრირდა იგივე პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ დიახ, ისწავლა მოცემულ პროგრამაზე და სწავლის საფასური გადაიხადა, თუმცა კიდევ უნდა ისწავლოს, ეს რატომ უნდა გააკეთოს არ იცის, ამასთან - აღნიშნა, რომ ის უკვე ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ალბათ ვერ შეძლებს კოლეჯში სწავლას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (შემდგომში-სამსახური) უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა გააჟღერა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გამოიკვეთა წარმოების ფარგლებში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან ვერ მოხერხდა მიწოდება, მისი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე. საკითხი ეხებოდა სწორედ ლ.კ.-ს. მისი განცხადებით, სამსახურს გაუჩნდა მოსაზრება გადაემოწმებინა ლ.კ.-მ ხომ არ ისარგებლა პროფესიული სტუდენტის ცნობით და ხომ არ ითხოვა სამხედრო სამსახურის გადავადება. ცენტრმა მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს აღნიშნული გარემოების გასარკვევად. მისი განმარტებით, ოზურგეთის სამხედრო გაწვევის სამსახურმა დაადასტურა, რომ კოლეჯის მიერ გაცემული ცნობით ლ.კ. -ს სამხედრო გაწვევა გადაუვადდა 2022 წლის მარტის თვეში 2022 წლის 25 სექტემბრამდე.

ნანი დალაქიშვილის განცხადებით, აღნიშნული არის კანონდარღვევა, რადგანაც კოლეჯის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ლ.კ. -მ წარადგინა სამხედრო გაწვევის სამსახურში, მიზნობრივად იყო გაცემული და ცნობაში გარკვევით ეწერა, რომ ლ.კ. ნამდვილად სწავლობს შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამაზე და პროგრამის დასრულების ვადაა 2022 წლის 25 სექტემბერი. ცნობა ეძლევა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში წარსადგენად.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, თუ როდის ჰქონდა გავლილი ავტორიზაცია აღნიშნულ დაწესებულებას, რაზეც პასუხი მიიღო ცენტრისგან, რომ კოლეჯმა ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს.

შორენა ხუბუნაიას განცხადებით, დაწესებულებაში გაზაფხულზე განხორციელდა სრული მონიტორინგი, ყველა სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულებას მიეცა 6 თვიანი ვადა რეკომენდაციების შესრულებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა წინა მონიტორინგის შედეგებიც რომ გამოსულიყო პრეზენტაციის სახით საბჭოზე, რადგან საბჭოს აინტერესებს რა ტიპის დარღვევები დააფიქსირეს ექსპერტებმა წინა ვიზიტის ფარგლებში. მისი თქმით, ძალიან მოკლე დროში განხორციელებულ ორ ვიზიტზე იყო საუბარი, პროცედურა განხორციელდა რამდენიმე თვის წინ, ფაქტი იყო, რომ საბჭოს მიერ უარი არ ეთქვა დაწესებულებას, იმიტომ რომ ამ ტიპის კანონდარღვევა მაშინ არ იყო აღმოჩენილი.

შორენა ჯაფარიძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და განმარტა, რომ მისი კითხვა ზუსტად აღნიშნულით იყო გამოწვეული, ვინაიდან საინტერესოა რა როგორ აფასებდნენ ექსპერტები დაწესებულებას წინა ვიზიტების დროს, რამდენად ამ წარმოების ფარგლებში ექსპერტებს ყველა შემოწმებული კომპონენტი როგორც შეუსაბამო აქვს შეფასებული.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა წინა მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირდა თავდაპირველ პროექტში როგორც ხარვეზი და შემდეგ გეგმის საფუძველზე წინა ექსპერტთა ჯგუფმა გადაიყვანეს შესაბამისობის რეკომენდაციაში, ხოლო რაც შეეხება, იმას თუ რატომ ვერ მოხერხდა წინა შემოწმების ფარგლებში აღნიშნული დარღვევები, ნანი დალაქიშვილის განცხადებით, როგორც ექსპერტი აღნიშნავს დასკვნაში, მოხდა დოკუმენტაციის გადამალვა.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ცენტრის მიერ იყო ჩანიშნული გეგმიური მონიტორინგი, თუმცა ამ გეგმიური მონიტორინგის შემდეგ საბჭომ კვლავ ჩანიშნა მონიტორინგი, რომლის ვადად განისაზღვრა სექტემბრის თვე. მისი განმარტებით, წინა ხარვეზებს წარმოადგენდა 5.1.2.3 ინდიკატორი, რომელიც ეხებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, რომელიც არ იყო შეთანხმებული და ამ საკითხზე შესაბამისობის გეგმაშიც არ იყო მითითებული, ხოლო რაც შეეხება თავდაპირველ ხარვეზებს, რომელიც შემდეგ შესაბამისობის რეკომენდაციად კვალიფიცირდა გეგმის წარმოდგენის შემდეგ ეს იყო პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტის ფარგლებში 3 ინდიკატორი, 2.2 კომპონენტი და 5.1 კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირებული მეტწილი შესაბამისობა. ყველა აღნიშნულ კომპონენტზე საბჭომ მოითხოვა მონიტორინგის ჩანიშვნა, განხორციელების ვადა იყო სექტემბერი, თუმცა ამ ვადაში ახალი მონიტორინგი დაინიშნა და ამას დაემატა კანონდარღვევითი ქმედებები დაწესებულების მიერ განხორციელებული.

ნინო ველთაურის განცხადებით, როდესაც ხდება დაწესებულებაში დოკუმენტაციის გადამალვა, ძნელია ექსპერტთა ჯგუფისთვის ხარვეზის აღმოჩენა, მისი თქმით, შესაძლოა მონიტორინგის პროცესები ისე დაიხვეწოს, რომ მეტის მიგნების და აღმოჩენის ბერკეტები ჰქონდეთ ექსპერტებს.

ამის შემდეგ საუბარი განაგრძო ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ.

4. კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დაწესებულებაში იმყოფებოდა ორი პროფესიული სტუდენტი (დ.შ.; ა.მ.), რომლებიც მოცემულ მომენტში ირიცხებოდნენ ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მათი ჩარიცხვის, სწავლისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს, რომ ისინი 2020 წელს ჩაირიცხნენ და წელს დაასრულეს სასწავლო პროცესი ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ახლა კოლეჯში მოვიდნენ, რადგან დარჩენილი ჰქონდათ ცალკეული ტესტები დასაწერად და ხვალ, 20 სექტემბერს მიენიჭებოდათ პროფესიული კვალიფიკაცია, ხოლო მოკლე დროში აიღებდნენ დიპლომს. ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიულ სტუდენტებს ჰკითხა როდის, სად და როგორ გაიარეს პრაქტიკული კომპონენტი, მათ აღნიშნეს, რომ პრაქტიკული კომპონენტი არ გაუვლიათ აფთიაქში, კოლეჯში ლაბორატორიაში ასრულებდნენ ცალკეულ პრაქტიკულ დავალებებს, პრაქტიკა იმიტომ ვერ გაიარეს, რომ მათ ჰქონდათ პირადი პრობლემები და კოლეჯი დაჰპირდა, რომ ოქტომბრიდან გაივლიდნენ პრაქტიკას. ერთ-ერთმა პროფესიულ სტუდენტმა აღნიშნა, რომ თავის ახლობელთან დადიოდა აფთიაქში და იქ ეცნობოდა ცალკეულ აქტივობებს, თუმცა ეს კოლეჯის მიერ ორგანიზებული პროცესი არ ყოფილა.

ექსპერტთა ჯგუფმა ჰკითხა პროფესიულ სტუდენტებს, თუ მათ ხვალ მიენიჭებოდათ პროფესიული კვალიფიკაცია, ოქტომბერში რა სტატუსით გაივლიდნენ პრაქტიკას, მათ ამის შესახებ პასუხი არ ჰქონდათ. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვა, მათი ინფორმაციით როგორ ხორციელდება კოლეჯში პრაქტიკული კომპონენტი ფარმაციის პროგრამაზე, რამდენ ხანს გრძელდება ან რა პერიოდულობით, პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკა 6 თვითნია, ხოლო თუ ადვილად დაძლევენ 3 თვეშიც დაასრულებდნენ. საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მოსთხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ზე პრაქტიკული კომპონენტის განაწილების დოკუმენტი ან პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულებები. კოლეჯმა მხოლოდ წარმოადგინა სასწავლო გეგმა, თუმცა გეგმაში მოდულების/სწავლის შედეგების მიღწევის ადგილები მითითებული არ იყო. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულმა სტუდენტებმა პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ შეძლეს ყველა სწავლის შედეგის ათვისება, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, კოლეჯი მოქნილად უნდა რეაგირებდეს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე, მათ შორის შესაძლოა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გააგრძელონ სწავლა ან სხვა. თუმცა, კოლეჯის მიერ ასეთი დოკუმენტი არ წარმოდგენილა.

5. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა პროფესიული სტუდენტების (დ.შ, ა.მ) პირადი საქმეები და პორტფოლიოები/შეფასების მტკიცებულებები. აღმოჩნდა, რომ მოცემული პირების მიერ 2020 წლის 07 სექტემბერს და 2020 წლის 11 აგვისტოს დაწერილია განცხადებები ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირების შესახებ, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 02 ნოემბრის No9/ს ბრძანებით, ისინი ჩარიცხულნი არიან საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამასთან კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის No5/ს და 2021 წლის 22 აპრილის No6/ს ბრძანებებით ეს პროფესიული სტუდენტები შიდა მობილობის წესით გადაყვანილნი არიან ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ჰკითხა პროფესიულ სტუდენტებს, იცოდნენ თუ არა აღნიშნული ფაქტის შესახებ, მათ დაბნეულად განაცხადეს, რომ სურდათ ფარმაციის პროგრამაზე სწავლა და ახლა სწავლობენ კიდეც. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე ისწავლეს თუ არა საექთნოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მიიღეს თუ არა შეფასება რომელიმე მოდულზე, პროფესიულ სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ არ უსწავლიათ საექთნოს პროგრამაზე და შესაბამისად მათ მიერ არ განხორციელებულა სწავლის შედეგების დადასტურება/შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა მოცემულ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში აღმოაჩინა საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიკრობიოლოგიის მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ სხვა მოდულის ფარგლებში მოცემული პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებთან მიკრობიოლოგიის მოდულის შეფასების მტკიცებულებების შედარებით, აღმოჩნდა, რომ მარტივადაა თვალსაჩინო განსხვავებული ხელწერა. ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიულ სტუდენტებს (თითოეულს ცალ-ცალკე) აჩვენა შეფასების მტკიცებულებების ის გვერდები, სადაც ჩანდა ხელნაწერები (პირველი გვერდი არ იყო თვალსაჩინო), მათ ამოიცნეს საკუთარი ხელწერა მხოლოდ შეფასების იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც განხორციელდა ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ჩნდება ეჭვი, რომ დაწესებულებამ გააყალბა პროფესიული სტუდენტების ხელწერა და მათ ნაცვლად შექმნა შეფასების მტკიცებულებები იმ მოდულის ფარგლებში, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს არ გაუვლიათ. დაწესებულების წარმომადგენელს - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს აღნიშნული არ უარუყვია და განაცხადა, რომ ეს მათი ყოფილი თანამშრომლის ი.ხ-ს შემოქმედებაა. ხოლო ის ფაქტი, რომ ფარმაციის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის მსურველი პროფესიული სტუდენტები ჩაირიცხნენ საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აიხსნა, რომ მოთხოვნილ პროგრამაზე ადგილები არ იყო.

6. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მოცემული პროფესიული სტუდენტების ერთი პროგრამიდან მეორე პროგრამაზე გადასვლის - შიდა მობილობის დოკუმენტაცია, მათ შორის - პროფესიულ სტუდენტთა პირადი განცხადებები, დასკვნები პროფესიული სტუდენტების მიერ ათვისებული სწავლის შედეგების მიმღებ პროგრამასთან თავსებადობის შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო

გეგმები, კოლეჯის დირექტორის ბრძანებები ინდივიდუალური გეგმების დამტკიცების შესახებ და სხვა, დაწესებულებამ ასეთი დოკუმენტები არ წარმოადგინა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის გაფორმებულ იქნა „აქტი შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში არაგეგმიური მონიტორინგის თაობაზე 2022 წლის 19 სექტემბერს დაგეგმილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თაობაზე“.

ექსპერტის განცხადებით, ყველა ზემოხსენებულ საკითხზე კოლეჯის პერსონალი დამნაშავედ ასახელებდა კოლეჯის ყოფილ თანამშრომელს ი.ხ-ს, რომელთანაც შრომითი ურთიერთობა შეწყდა მიმდინარე წლის 05 მაისს, ხოლო ექსპერტთა მიერ დასმულ კითხვაზე - თუ აღნიშნული სიმართლეა, კოლეჯი როგორ ახსნიდა კანონმდებლობის დარღვევით დაწესებულების საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული პირის თ.მ-ს შეფასების მტკიცებულებებს, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 25 მაისს (მოდული ფიზიკური პირის კონტროლი, მოდულის განმახორციელებელი ნ.უ) და 2022 წლის 10 ივნისს (მოდული - ფიზიკური პირის კონტროლი, მოდულის განმახორციელებელი ქ.ტ), დაწესებულების წარმომადგენლებს პასუხი არ გაუციათ.

7. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ან დაგეგმილი პროცესის შესახებ და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ბრძანება ან სხვა დოკუმენტი, რითაც განსაზღვრული იქნებოდა სასწავლო პროცესის განრიგი (სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები). დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის No37/ს ბრძანება „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაციის (სააფთიაქო) 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების შესახებ“, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ 2021-2022 სასწავლო წელი დაიწყო 2021 წლის 8 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 6 აგვისტოში, თუმცა სწავლების მეორე/მესამე სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების ვადები დარეგულირებული არ იყო, ამასთან ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა კოლეჯში საქმისწარმოების სანდოობით და გადამოწმდა ბრძანების რეგისტრაციის არსებობა, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა კოლეჯის საქმისწარმოების წესი და ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალი. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის No28 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის საქმისწარმოების წესის“ პირველი მუხლის მე-6 ქვე-პუნტის მიხედვით - „6. საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი ქაღალდის მატარებელზე არსებული ფორმისაა“.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა კოლეჯის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საყურადღებოა, რომ დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის No37/ს ბრძანება „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაციის (სააფთიაქო) 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების შესახებ“ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში რეგისტრირებული არ იყო. კოლეჯის 2021 წლის ბოლო ბრძანება რეგისტრირებულია 2021 წლის 28 დეკემბერს და მისი სარეგისტრაციო ნომერი არის 26/1, ხოლო 2021 წლის ოქტომბერში

ბოლო ბრძანება რეგისტრირებულია 15 ოქტომბერს 20/1 ნომრით, 20 ოქტომბერს არც ერთი ბრძანება არ არის რეგისტრირებული.

შესაბამისად, დადგინდა, რომ კოლეჯში არასათანადოდ ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულების, ასევე კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის No28 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად.

8. შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის ბრძანების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფისათვის დავალებული ერთ-ერთი საკითხი შეეხებოდა ზემოაღნიშნული ბრძანების დანართში აღწერილ ფაქტს, კერძოდ დაწესებულებაში დასაქმებულ პირს - მ.დ-ს, რომელიც მისი ნაამბობის მიხედვით დასაქმებული იყო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე, რა დროსაც ის პარალელურად ასრულებდა აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიღებას, შემოწმებასა და ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო 2022 წლის მარტის თვეში, მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, გადაიყვანეს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე (მისი ნაამბობის მიხედვით, ხელშეკრულებაზე მოაწერინეს ხელი). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა მ.დ-ს პირადი საქმე. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმიდან ირკვევა, რომ მ.დ-ს 2020 წელს დაწერილი აქვს განცხადება კოლეჯში დასაქმებასთან დაკავშირებით (პოზიცია დაკონკრეტებული არ არის), რომელსაც ადევს კოლეჯის დირექტორის რეზოლუცია, ბრძანების გამოცემის თაობაზე, თუმცა მისი დანიშვნის ან მასთან გაფორმებული ხელშეკრულებები კოლეჯმა არ წარმოადგინა, პირად საქმეში ასევე ინახებოდა მ.დ-სთან 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულება კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა მ.დ-ს 2020 წლის 01 აგვისტოს განცხადების დაკმაყოფილების მტკიცებულება, სადაც მ.დ. ითხოვდა დაწესებულებაში დასაქმებას (პოზიცია მითითებული არ არის), 2020 წლიდან 2022 წლის 28 მარტამდე მ.დ-ს პირადი საქმე (ხელშეკრულება, დანიშვნის ბრძანება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/სხვა პოზიციაზე გადაყვანის მტკიცებულებები) მ.დ-ს განცხადება დაწესებულებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ, თუმცა დაწესებულებამ ეს დოკუმენტები არ წარმოადგინა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის გაფორმებულ იქნა „აქტი შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში არაგეგმიური მონიტორინგის თაობაზე 2022 წლის 19 სექტემბერს დაგეგმილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თაობაზე“.

აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად გადაამოწმა სისტემაში/რეესტრში, სადაც შეყვანილი ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ მ.დ. კოლეჯში მუშაობდა 2022 წლის 28 მარტიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე და ჰქონდა აქტიური სტატუსი, ხოლო რის მიხედვითაც ირკვევა, რომ კოლეჯი არასრულად აწარმოებს პროფესიული განათლების მართვის სისტემას. საყურადღებოა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ არ არის ნახსენები დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მისი ფუნქციები, პერსონალი და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აღნიშნული სტრუქტურული ერთეული/პოზიცია არ არის მითითებული დაწესებულების სტრუქტურაშიც.

ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, ინტერვიურებაზე არ გამოცხადდა მ.დ, ამიტომ განახორციელდა ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან, მათ დაადასტურეს კოლეჯში მ.დ-სთან თანამშრომლობის შესახებ, თუმცა მათი შეფასება შეიცავდა შეურაცხყოფელ განცხადებებს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა განაცხადა, რომ რატომ თანამშრომლობდნენ 2 წელი ასეთ ადამიანთან, რაზეც მათ პასუხი არ გაუციათ, ხოლო ექსპერტთა ჯგუფმა დაუყოვნებლივ აღკვეთა იმ პირის აუგად მოხსენიების ფაქტი, რომელიც არ ესწრებოდა ინტერვიურებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შემდეგი სტანდარტები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ფარმაცია (სააფთიაქო); საექთნო საქმე; საბაჟო საქმე; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა ფარგლებში ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი ფასდება როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 2.1.1.2 ინდიკატორი, დაწესებულებაში დარღვეულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვებულია პირები, რომლებიც არ ჩარიცხულან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო დაწესებულებას ოფიციალური დოკუმენტებით დადასტურებული აქვთ პროფესიულ პროგრამებზე მათი სწავლის ფაქტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ფარმაცია (სააფთიაქო); საექთნო საქმე; საბაჟო საქმე; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა ფარგლებში ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი ფასდება როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 2.4.2.1 და 2.4.2.4 ინდიკატორები, დაწესებულებაში პროფესიული პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და არ ხდება მათი გამოყენება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის მე-3 სტანდარტი ფასდება როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 3.1.1.1, 3.1.1.2, 3.1.1.3 და 3.1.1.5 ინდიკატორები, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას. კოლეჯში დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი: პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, მობილობის წესი, მიღებული განათლების აღიარების წესი, პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი, შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი.

ავტორიზაციის მე-4 სტანდარტი ფასდება როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 4.1.1.1 ინდიკატორი, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. კოლეჯში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია პირი იმ სტრუქტურული ერთეულის (სამსახური) ხელმძღვანელის პოზიციაზე, რომელიც დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს ორგანიზაციული სტრუქტურით და არ არის გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა ეს პირი დღეს აქტიური თანამშრომლის სტატუსით ირიცხება პროფესიული განათლების მართვის სისტემაში.

ავტორიზაციის მე-5 სტანდარტი ფასდება როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 5.2.2.1, 5.2.2.2 და 5.2.2.3 ინდიკატორები, დაწესებულება არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესით და დოკუმენტბრუნვის ორგანიზებისას არღვევს, როგორც კანონმდებლობის, ისე კოლეჯში არსებული საქმისწარმოების წესის მოთხოვნებს. დაწესებულება არასრულად იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას და არ ახორციელებს სისტემაში ყველა შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვას. დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას მოვიდა ორი პროფესიული სტუდენტი (მ.თ; თ.შ), რომელთაც ხელში ეჭირათ ფული და სურდათ ადგილზე გადახდა, მათი თქმით გადასახდელი ჰქონდათ დიპლომის გადასახადი. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა როგორ ხდებოდა კოლეჯში ფინანსური ანგარიშსწორება, პირველ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებმა თქვეს, რომ ადგილზეც იხდიდნენ და ბანკშიც. პერსონალმა განაცხადა, რომ პროფესიული სტუდენტები ანგარიშის ნომრის წასაღებად გამოცხადნენ, კოლეჯის ბუღალტერმა განაცხადა რომ პროფესიული სტუდენტები ძირითადად თანხას იხდიდნენ ბანკში, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც იყო. ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, ჰქონდა თუ არა კოლეჯს სალარო აპარატი. მან თქვა, რომ ჰქონდათ თუმცა საჭიროებდა გამართვას/რეგისტრაციას, როდესაც დაისვა კითხვა, შეძლებდა თუ არა კოლეჯი ამ წუთას თანხის ხელზე მიღებას განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ ბანკში მოხდება ჩარიცხვა. ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის უფლებამოსილებას სცდებოდა კოლეჯში ნაღდი ანგარიშსწორების საკითხის შესწავლა, ზემოაღნიშნული მოწოდებულია ინფორმაციის სახით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატალია კვაჭანტირაძე 15:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლი მანანა ხაბაძე მიესალმა დამსწრე პირებს და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებაში დარღვევები არის და უარყოფა არ შეიძლება, თუმცა აღნიშნული კოლეჯი აჭარის საგანმანათლებლო სივრცეში 30 წელია ფუნქციონირებს და არაერთი თაობა გაზრდილა, რომლებიც წარმატებულად დასაქმებულები არის სხვადასხვა სფეროში. მისი განმარტებით, სასწავლებელი პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს სამი წელია, ამ წლების განმავლობაში არაერთმა სტუდენტმა დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი. მან კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანური ფაქტორით, როგორც პროფესიული მასწავლებელი, კეთილსინდისიერების ფარგლებში განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ყველა ხარვეზი, რაც დაფიქსირდა, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, ყველაფერი გამოსწორდებოდა. მისი თქმით, სასწავლებლის ყოფილი თანამშრომლის ხელში იყო დოკუმენტაცია, რომელიც წინა გეგმიური მონიტორინგის დროს გაქრა, როდესაც დირექციამ მოიძია დოკუმენტაცია, ვერ აღმოაჩინეს.

მანანა ხაბაძემ კომენტარი გააკეთა 4 სტუდენტზეც. მისი განცხადებით, აღნიშნული 4 სტუდენტი სასწავლებელში თავისუფალი მსმენელების სახით იყვნენ და არა როგორც პროფესიული სტუდენტები, ისინი არც ემისის ბაზაში და არც სასწავლებლის რეესტრში არ იყვნენ დაფიქსირებულები.

მან ასევე ისაუბრა პრაქტიკის ნაწილთან დაკავშირებით. მისი თქმით, სასწავლებელში არის იმიტირებული გარემო ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, აქვთ ლაბორატორიაც, რომელიც არის აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. მისი განმარტებით, პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით, აღიარა სასწავლებელმა, რომ ხელშეკრულებები, მემორანდუმები ყველა სააფთიაქო ქსელის და პარტნიორი ორგანიზაციების, სადაც ტარდებოდა პრაქტიკული კომპონენტი, აღნიშნული დოკუმენტაციაც გაქრა.

დაწესებულების წარმომადგენლის რეზო ფუტკარაძის განცხადებით, ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი არ გაურბის განსაზღვრულ დარღვევებს, მაგრამ ეს არ იყო მიზნობრივი დარღვევები, თავდაპირველად აღნიშნა, სტუდენტებთან დაკავშირებით, რომ არ არსებობდა რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა იმას, რომ სასწავლებელს

გაცემულ ცნობებში ჰქონდა პირებზე ჩანაწერი „სტუდენტი“, იურიდიულად არ წერია ცნობებში, რომ აღნიშნული პირები იყვნენ სტუდენტები და აღიარა რომ, ცნობები რომლებიც გაიცა, არ უნდა გაცემულიყო, ეს იყო შეცდომა, ტექნიკური ხარვეზი.

ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი ცნობებთან დაკავშირებით. მისი თქმით, მოქალაქე, რომელიც წერდა პრემიერ მინისტრს სწავლის გადასახადის დაფინანსების თაობაზე, წერილში ცალსახად ეწერა, რომ მისი შვილი სწავლობდა აღნიშნულ სასწავლებელში. ასევე, სასწავლებლის მიერ გაცემულ ცნობაში, რომელიც პირმა ლ.კ. - მ წარადგინა ოზურგეთის სამხედრო სამსახურში, ცნობაში ეწერა, რომ პირი ლ.კ. ნამდვილად სწავლობდა შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში და ხელს აწერდა აღნიშნულ ცნობას სასწავლებლის დირექტორიც. ნანი დალაქიშვილის განცხადებით, ლ.კ - ს გადაუვადდა სამხედრო სამსახური კანონდარღვევით, სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

ამის შემდეგ შორენა ჯაფარიძემ გააკეთა კომენტარი. მისი განცხადებით, პროფესიულ განათლებაში ცნება „თავისუფალი მსმენელი“ არ არსებობს, ამიტომ როცა სასწავლებელი ცნობაში წერს, რომ პირი სწავლობს აღნიშნულ დაწესებულებაში, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ პირი არის პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს წევრ ნატალია კვაჭანტირაძეს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ნანა ყუფუნიაშვილმა შეჯამების სახით გააკეთა კომენტარი. მისი განცხადებით, ძალიან სამწუხარო ფაქტი დაფიქსირდა ავტორიზაციის საბჭოსთვის, მთლიანი სისტემისთვის და ქვეყნისთვის, საჭიროა ფიქრის დაწყება, იმასთან დაკავშირებით, რომ 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ასეთი განვითარების ხანაში, ჯერ კიდევ ხდება ისეთი სამარცხვინო ფაქტი, როგორიცაა უკანონო ჩარიცხვა და ყალბი დოკუმენტების გაცემა განათლების სისტემაში. ნანა ყუფუნიაშვილმა განცხადებით, სახეზეა დაწესებულებაში ავტორიზაციის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის დარღვევის ფაქტი, ექსპერტთა ჯგუფმა, ხარისხის ცენტრმა და საბჭომ ყველაფერი გააკეთა, რაც მათ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, დანარჩენი საკითხები, რომლებიც არ შედის საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ორგანოების გამოსაკვლევი უნდა იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს(ს/კ: 245409838) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:05 საათზე ავტორიზაციის
საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

ნ. ყუფუნია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

ქრისტინა რზგოევა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეზაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	28
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს <i>(არსებობის შემთხვევაში)</i> .	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს <i>(არსებობის შემთხვევაში)</i> .	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმადლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დეკლარირებადი)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
